თბილისის არქიტექტურა

ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №3966122

ნომერი: AR1599327

თარიღი : 07.05.2018

გაცემის თარიღი : 17.05.2018

გაცნობის თარიღი : 17.05.2018

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , სოფელი ქვემო ლისი , "ჭაბურღილთან";

დამკვეთი-განმცხადებელი
- ალექსანდრე გუჯაბიძე პ/ნ 01017041171
- თბილისი, ბოჭორმის 50/18

ორგანიზაცია:
- შპს ,,ისანი კომფორტი" კოდი: 404480101

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2018 წლის 30 აპრილის №3937728 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2018 წლის 07 მაისის №AR1599327 განცხადებით მომართა ალექსანდრე გუჯაბიძემ და მოითხოვა ამავე სამსახურის 2018 წლის 30 აპრილის №3937728 ბრძანებაში დაშვებული ტექნიკური შეცდომის გასწორება.

სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ სამსახურის 2018 წლის 30 აპრილის №3937728 ბრძანებით ქ. თბილისში, სოფელ ქვემო ლისში, "ჭაბურღილთან" არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ: №72.16.18.975) შეთანხმდა შვიდი ინდივიდუალური ერთბინიანი საცხოვრებელი სახლის არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა.

განმცხადებელი განმარტავს, რომ სამსახურის 2018 წლის 30 აპრილის №3937728 ბრძანებაში დაშვებული ტექნიკური შეცდომა, კერძოდ, ტექნიკურ - ეკონომიკურ მაჩვენებლებში არასწორად არის დაფიქსირებული საზაფხულო ფართობის მაჩვენებელი. ზუსტი მაჩვენებელი კი შეადგენს არქიტეტქურული პროექტით შეთანხმებული საცხოვრებელ საზაფხულო ფართების ჯამს, 227.01 კვ.მ-ს.

სამსახურმა 2018 წლის 30 აპრილის №3937728 ბრძანებით შეთანხმებული არიქტექტურული პროექტის შესწავლის შედეგად დაადგინა, რომ წარმოდგენილი ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლები შეესაბამება შეთანხმებულ არქიტექტურულ პროექტს, შესაბამისად, განმცხადებლის მოთხოვნა ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე საფუძვლია და უნდა დაკმაყოფილდეს. ამასთან, ტექნიკური შეცდომის გასწორების მიზნით საზაფხულო ფართობის მაჩვენებლის ცვლილება გამოიწვევს ასევე საერთო ფართობის ცვლილებას. ტექნიკურ - ეკონომიკური მაჩვენებლების შესაბამისად, ბრძანებაში საერთო ფართობად უნდა დაფიქსირდეს 1750.42 კვ.მ.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59–ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში გაასწოროს ტექნიკური, აგრეთვე გამოთვლის დროს დაშვებული შეცდომები.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59–ე მუხლის შესაბამისად,

ვბრძანებ:

1. გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2018 წლის 30 აპრილის №3937728 ბრძანებაში, კერძოდ ტექნიკურ–ეკონომიკურ მაჩვენებლებში დაფიქსირდეს: საზაფხულო ფართობი (კვ.მ).:227.01, საერთო ფართობი (კვ.მ).:1750.42. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2018 წლის 30 აპრილის №3937728 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.

2. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2018 წლის 30 აპრილის №3937728 ბრძანებასთან ერთად;

3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის.: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.